



**ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
განკარგულება**



დ. სთაფანგინდა



განკარგულება:გ-103.103222384

თარიღი:26/08/2022

**ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის  
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 და მე-12 მუხლების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 და მე-15 მუხლების, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლისა და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად,

მუხლი 1. დამტკიცდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგია დანართის შესაბამისად:

მუხლი 2. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭომ მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელ საჯარო მოსამსახურეებთან ერთად ამ განკარგულების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის მუნიციპალური სამოქმედო გეგმა;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მისამართზე: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ.N 17 გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

დავითი ქირიკაშვილი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგია

თავი I

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები

შესავალი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგია განსაზღვრავს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გენდერულ პოლიტიკას, მის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და განვითარების პრიორიტეტებს 2022-2025 წ.წ. პერიოდისათვის.

სტრატეგიის მიზანია, მუნიციპალიტეტის კომპეტენციიდან გამომდინარე, სახელმწიფო სტრუქტურებთან მჭიდრო კოორდინაციით და ამ პროცესში სამოქალაქო და კერძო სექტორის ჩართულობით ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას, მათი უფლებებისა და შესაძლებლობების თანაბარ და ეფექტიან განხორციელებას.

სტრატეგია ეფუძნება გენდერული თანასწორობის პრინციპებს მუნიციპალურ და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და განსაზღვრავს შესაბამის ღონისძიებებს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის და გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

სტრატეგია იგება ერთიან, კომპლექსურ მიდგომაზე, რომლის თანახმად, ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას, მათი ინტერესების შესწავლას, თანაბრად წარმოჩენასა და გავრცელებას გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა.

სტრატეგია ითვალისწინებს ერთობლივ მიდგომას თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, შესაბამისი სამსახურების საქმიანობის უზრუნველყოფას გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის აღმოფხვრის ქალის და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობისთვის აუცილებელი გარემოს შექმნას როგორც ინფრასტრუქტურული, ისე განათლების, კულტურისა და სოციალური მიმართულებით.

სტრატეგიის სამართლებრივ ბაზას ქმნის საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და საქართველოს კანონმდებლობა.

სტრატეგია მომზადებულია „პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წ. 20 დეკემბერის N629 დადგენილებისა და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N264 განკარგულებით

დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ გათვალისწინებით.

სტრატეგია წარმოადგენს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში გენდერული პოლიტიკის სფეროში სამოქმედო გეგმის და მისგან გამომდინარე პროგრამული ღონისძიებების შემუშავების საფუძველს.

## სტრატეგიის ხედვა, მიზანი და პრიორიტეტული მიმართულებები

### სტრატეგიის ხედვა

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებით მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა

### სტრატეგიის მიზანი

მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის ჩართულობით ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა, დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენცია და აღმოფხვრა, გენდერული ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა.

### ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარებული მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა საჭიროებების კვლევის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი მიმართულებები:

1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის სამართლებრივ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა.
2. მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა, მათ შორის გენდერულად მგძრნობიარე ბიუჯეტის უზრუნველყოფა SDG-ის მე-17 მიზანთან შესაბამისობაში.
3. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.
4. სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა.
5. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა.
6. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა.

## სამიზნე მაჩვენებლები

1. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ცნობადობა გაიზარდა 10%;
2. დაინერგა გენდერული ბიუჯეტი. იმ მუნიციპალურ პროგრამათა რაოდენობა, რომელშიც გათვალისწინებულია გენდერული ასპექტები გაიზარდა 15%;
3. ბიზნეს საქმიანობებში ქალთა მონაწილეობა გაიზარდა 10%;
4. მუნიციპალიტეტში 10% -ით გაიზარდა იმ კულტურული და სპორტული ობიექტების რაოდენობა, რომლებიც მორგებულია განსხვავებული სქესის, ასაკობრივი ან/და შესაძლებლობების მქონე ჯგუფების ინტერესებზე; პროფესიული განათლების მქონე ქალთა და გოგონათა რაოდენობა გაიზარდა 10%
5. მომზადდა და მიღებულია გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური სოციალური პოლიტიკა;
6. შემუშავდა და დაინერგა დისკრიმინაციაზე პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი;
7. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები შემცირდა 20%.

## თავი II

### სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები

პრიორიტეტი 1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის სამართლებრივ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა

#### პრიორიტეტის მიზანი

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი სამართლებრივი და ინსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბება

#### პრიორიტეტის ძირითადი ამოცანები

ა) გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება და ახალი სამოქმედო გეგმის დამტკიცება

- ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების მუნიციპალური გეგმის შეფასებისა და საჭიროებების კვლევის შედეგების საფუძველზე, 2022-23 წლების გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმის შემუშავება და საკრებულოს მიერ დამტკიცებას.
- გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგების წესების განსაზღვრა

ბ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების სრულყოფა და სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის შეფასებას;
- შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროების შესაბამისი გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას;
- გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგისთვის შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფას;
- საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობის გადახედვასა და განახლებას;
- ეფექტიანი საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბებას გენდერული თანასწორობის რეგიონულ და ცენტრალურ ინსტიტუციებთან.
- გენდერული თანასწორობის საბჭოს თანამშრომლობის გაძლიერებას მუნიციპალიტეტში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ბიზნეს სუბიექტებთან.
- გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისა და მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის ამსახველი მასალების, კვლევების, პუბლიკაციებისა და ანალიტიკური მასალების, ასევე საბჭოს სხდომის ოქმებისა და გადაწყვეტილებების/რეკომენდაციების პროაქტიული გამოქვეყნებას.
- მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობის სამართლებრივ ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით საჭიროებების შესწავლის საფუძველზე, საჭიროებების შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფას.
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეფექტიანი ინსტიტუციური მექანიზმის შესაქმნელად მოხდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლისთვის/წაერმომადგენლის თანამშრომლისათვის გენდერული თანასწორობის საკითხის მაკოორდინირებელი ფუნქციის მინიჭება. მოხდება ამ საჯარო მოხელის გადამზადება, რომელსაც ექნება უშუალო კავშირი მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან. პერიოდულად მიაწვდის მას ინფორმაციას ადმინისტრაციულ ერთეულში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, ორგანიზებას გაუწევს მოსახლეობის საჭიროებათა შესწავლას და გენდერული სტატისტიკის წარმოებას, მიაწვდის მოსახლეობას ინფორმაციას გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისა და ამ ადმინისტრაციულ

ერთეულში მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ჩასატარებელი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ.

თ ან ამ ონ აწილე ობით ი გე ნდერული აუდიტ ის დან ერგვა  
თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი არის ინსტრუმენტი და პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს, აღწეროს, თუ როგორ ხორციელდება მუნიციპალურ ორგანოებში გენდერული მეინსტრიმინგი და როგორ შეიძლება ამ მიდგომის გაუმჯობესება იმისათვის, რომ მუნიციპალური პოლიტიკა და მომსახურება/საქმიანობა იყოს გენდერულად მგრძობიარე და შეესაბამებოდეს ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის სფეროში არსებულ საერთაშორისო და ეროვნულ ვალდებულებებს. თანამონაწილეობითი გენდერული აუდიტი მოგვცემს საშუალებას გამოვლინდეს და აღმოიფხვრას ის ხარვეზები, რომლებიც შეიძლება არსებობდეს მუნიციპალიტეტის საქმიანობის სფეროში და მომზადდეს რეკომენდაციები:

- სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზის სისტემის გასაძლიერებლად;
- გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების ცნობიერების ასამაღლებლად;
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტების მონიტორინგისა და შეფასების ეფექტიანი სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

გ) მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემის უზრუნველყოფა მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის „გენდერული აუდიტის“ განხორციელებასა და შეფასების შესაბამის ცვლილებებს მის საქმიანობაში;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობის განისაზღვრას, მეთოდოლოგიის დამტკიცებასა და პასუხისმგებელი უწყების იდენტიფიცირებას;
- მონიტორინგის შედეგების მართვისა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მიწოდების წესის დამტკიცებას.

დ) საჭიროებათა კვლევის ინსტრუმენტის დანერგვა-მოიცავს:

- ჩატარებული კვლევის შედეგების სრულყოფილ მიზნით მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მოსახლეობის ინდივიდუალური გამოკითხვის უზრუნველყოფას;
- მუნიციპალიტეტის მიერ მეთოდოლოგიის დამტკიცებას, მისი შედეგების განახლებისა და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ასახვის მიზნით;

- მეთოდოლოგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებების იდენტიფიცირებას;
- იდენტიფიცირებული პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენელ პირთა გადამზადებას და კვლევის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ ტექნიკურ უზრუნველყოფას.

ე) გენდერულ ჭრილში სტატისტიკური მონაცემების მართვა მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, დამუშავების, შენახვისა და გამოქვეყნების წესის დამტკიცებას;
- გენდერული სტატისტიკის წარმოებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფას.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ეფექტიანი საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბება

გენდერული თანასწორობა არის სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და მუნიციპალიტეტის მიერ მისი გატარება შეუძლებელია სრულყოფილად მოხდეს სახელმწიფოს შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გარეშე. ამ მიზნით აუცილებელია ეფექტიანი კომუნიკაციის მექანიზმის ჩამოყალიბება ერთი მხრივ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსთან, საქართველოს მთავრობის გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან, ხოლო მეორე მხრივ მუნიციპალიტეტში მოქმედ სახელმწიფო უწყებებთან. საჭიროა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს ქონდეს სისტემატიური კომუნიკაცია საპარლამენტო საბჭოს, მთავრობის უწყებათაშორის კომისიის და სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან, ხოლო მეორე მხრივ მუნიციპალიტეტის მერთან სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენელთა მონაწილეობით შეიქმნას გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისია.

ვ) დროებითი სპეციალური ზომები ქალთა და მამაკაცთა შორის არსებითი თანასწორობის მიღწევის დაჩქარების მიზნით, როგორც გადაწყვეტილების მიღების

პროცესში, აგრეთვე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში მოიცავს:

- გენდერული თანასწორობის სტიმულირებას ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში;

ზ) გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა მოიცავს:

- გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ ორგანიზაციებთან პერიოდული შეხვედრების ჩატარებას გენდერული თანასწორობის პრობლემურ საკითხებზე და მათ ჩართვას სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში.

პრიორიტეტი 2. მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

მიზანი

გენდერულად დაბალანსებული ბიუჯეტი. დასაქმების, რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და საზოგადოებრივ მომსახურების სფეროში გენდერული დისბალანსის აღმოფხვრა.

ძირითადი ამოცანები

ა) გენდერული ბიუჯეტი - მოიცავს:

- მუნიციპალური შემოსავლებისა და ხარჯების გაანალიზებას სქესთან მიმართებაში, თუ რა განსხვავებულ გავლენას ახდენს ქალებისა და კაცების ცხოვრებაზე ბიუჯეტის ხარჯები თუ შემოსავლები;
- პრიორიტეტების განსაზღვრას გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, საბიუჯეტო რესურსების რესტრუქტურირებას გენდერული თანასწორობის მიღწევის მიზნით;
- გენდერული ასპექტების გათვალისწინებას საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე;
- ჩატარებული კვლევის შედეგად, მოქალაქეთა საჭიროებების გათვალისწინებით, გენდერულად მგრძობიარე პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცებას.

ბ) ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. გენდერული ასპექტის გათვალისწინებით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის სპეციალურ მუნიციპალურ პროგრამათა შემუშავება და განხორციელება მოიცავს:

- ქალებისა და მამაკაცებისათვის საწარმოო რესურსებზე თანაბარი



ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ბიზნეს საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გაზრდისათვის საჭიროებების გამოვლენას, შესაბამისი პროგრამების (საგანმანათლებლო, პრაქტიკული უნარების განვითარების) შემუშავებასა და განხორციელებას; დასაქმების ბაზარზე ქალთა კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად შესაბამისი პირობების შექმნას და ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებთან მათი ადაპტაციის ხელშეწყობას.

გ) მუნიციპალურ საწარმოებსა და დაწესებულებებში კონტროლის მექანიზმების დახვეწა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსით“ დადგენილი ანტიდისკრიმინაციული ნორმების დაცვაზე და შრომის ანაზღაურების სფეროში გენდერული დიფერენციაციის აღმოსაფხვრელად მოიცავს:

- როგორც ქალების, ისე კაცებისათვის სამსახურებრივი და ოჯახური ცხოვრების შეთავსების შესაძლებლობების შექმნის მიზნით ღონისძიებათა დაგეგმვას და შესაბამისი მექანიზმების დამკვიდრებას.

დ) ქალთა ეკონომიკური გაძლიერება მოიცავს:

- ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე და პოლიტიკურ პროცესებში მათი ჩართულობის სტიმულირებაზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამების შექმნას.

ე) გენდერული თანასწორობის მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შესაბამისი საბიუჯეტო უზრუნველყოფა მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით შესაბამისი ხარჯების ასახვას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

პრიორიტეტი 3. კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

მ იზან

ღ

კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავი მონაწილეობის, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი საქმიანობის, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციისა და მათი უფლებების დაცვის, ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების უზრუნველყოფა

მ ირითადი ამ ოცანე

ბი

ა) კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში

გენდერულად დაბალანსებული მუნიციპალური პროგრამების დანერგვა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის - მოიცავს:

- კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საკითხებსა და სპორტის სფეროში მუნიციპალური პროგრამების გენდერული ანალიზის შედეგად, მუნიციპალიტეტში მცხოვრები განსხვავებული სქესის, ასაკობრივი, თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული პროგრამების შემუშავებას.

ბ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებზე, მათ შორის განსხვავებული სქესის, ასაკობრივი ან/და შესაძლებლობების მქონე ჯგუფების ინტერესებზე მორგებული, კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა- მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლას;
- არსებულ თუ შემდგომში დაგეგმილ კულტურულ და სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობისა და მოსახლეობის საჭიროებების კვლევას გენდერულ ჭრილში;
- კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისი კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობას.

გ) სოფლად მცხოვრებ ქალთა და გოგონათა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა- მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ქალებისა და გოგონების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის კვლევას;
- კვლევის შედეგად იდენტიფიცირებული საჭიროებების გათვალისწინებით ქალთა და გოგონათათვის პროფესიული განათლების ხელშეწყობი მუნიციპალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.

პრიორიტეტი 4. სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა

მიზანი

სოციალურ სფეროში გენდერული თანასწორობის გათვალისწინება და სოციალურად მგრძობიარე ჯგუფების ინტეგრაცია გულისხმობს, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და გენდერულად დაბალანსებული სოციალური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, გენდერულ ასპექტთა გათვალისწინებას მოწყვლად ჯგუფთა სოციალური გააქტიურების ხელშესაწყობად, სოციალური ფონის გაუმჯობესებას და პროგრამებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას.

ძირითადი ამოცანები

ა) პრიორიტეტული პროგრამების გათვალისწინება სოციალურ პაკეტში- მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის შეჭირვებული და მოწყვლადი მოსახლეობის საჭიროებების კვლევას გენდერულ ჭრილში;
- სოციალური პაკეტით გათვალისწინებული პროგრამებით მოსარგებლეთა კვლევას გენდერულ ჭრილში;
- კვლევის შედეგების საფუძველზე სოციალური პაკეტით განსაზღვრული პროგრამების პრიორიტეტების განსაზღვრას და საჭიროების შემთხვევაში ახალი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას.
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელება
- მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მოხდება მუნიციპალური ჯანდაცვისა და სოციალურ დახმარებათა პროგრამების განხორციელება. ამ პროგრამათა დაგეგმვისას აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს გენდერული ასპექტები, რათა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყოველ მოქალაქეს ქონდეს ამ პროგრამებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობა. ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები უნდა იყოს გენდერულად ორიენტირებული, ასევე საჭიროა გენდერული თანასწორობის პრინციპების დანერგვა სოციალური დახმარების პროგრამებსა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში.

პრიორიტეტი 5. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა

მ იზან

ღ

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის დაუშვებლობა;

ძირითადი ამოცანები

ბი

1. გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა

ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს ყველა მოქალაქის კონსტიტუციური უფლება თანაბრად, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში. მუნიციპალური ორგანოების ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა ხელი შეუწყოს მოქალაქეთა ჩართულობას თვითმმართველობის განხორციელებაში და არ დაუშვას ამ პროცესში გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია. ამ მიზნით საჭიროა:

- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში დისკრიმინაციაზე პრევენციისა და რეაგირების მექანიზმების ჩამოყალიბება;

- მუნიციპალიტეტის საქმიანობის, აგრეთვე სამართლებრივი აქტებისა და შიდა რეგულაციების შესაბამისობის უზრუნველყოფა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონთან და საქართველოს სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან;
- დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირების ეფექტური მექანიზმების დანერგვა
- დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თავიდან აცილების მიზნით პრევენციული საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

## 2. პრევენცია და რეაგირების მექანიზმების უზრუნველყოფა- მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, შეუსაბამოს საქართველოს კანონს „ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას;
- დანერგოს დისკრიმინაციის ფაქტზე რეაგირების ეფექტური მექანიზმები;
- უზრუნველყოს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თავიდან აცილების მიზნით პრევენციული საინფორმაციო საგანმანათლებლო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- მოახდინოს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე;
- დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დამრღვევ პირს და უზრუნველყოს დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

## პრიორიტეტი 6. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის არმოფხვრა

### მიზანი

საზოგადოებაში ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის პრევენცია, ოჯახის წევრთა უფლებრივი თანასწორობის აღიარებით მათი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობისა და ოჯახური ღირებულებების დაცვის უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტი მისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით ეფექტური პროგრამების დაგეგმარებასა და განხორციელებას

ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმები გულისხმობს იმ სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის მიზეზებისა და წინაპირობების თავიდან აცილებისკენ, ძალადობის აღკვეთისკენ, მოძალადის სამართლებრივი დევნისკენ, მისი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ, მსხვერპლის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისკენ (საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ მუხლი 6 პ.1).

ძირითადი ამოცანები

ა) პრევენციული ღონისძიებები მოიცავს:

- საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, მუნიციპალური მმართველობის ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული დაწესებულებების თანამშრომელთათვის;
- ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაგეგმვა და განხორციელება ბავშვთა მიმართ ძალადობისა და „ნაადრევი ქორწინების“ საკითხებთან დაკავშირებით.

ბ) ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება მოიცავს:

- შეიმუშაოს და განახორციელოს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, აგრეთვე არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დახმარების მიზნით მუნიციპალური პროგრამები.

### თავი III

## სტრატეგიის განხორციელების მექანიზმები. მონიტორინგი და შეფასება

### სტრატეგიის განხორციელება

სტრატეგიის და სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას, თავის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია.

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მერია უზრუნველყოფს სამოქალაქო და კერძო სექტორის ჩართულობას, განხორციელების პროცესის გამჭვირვალობას და ამ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას.

სტრატეგიის განხორციელების ძირითადი ინსტრუმენტია სტრატეგიის სამოქმედო გეგმები. სტრატეგია მოიცავს 2022-2025 წლებს. სტრატეგიის პირველი სამოქმედო გეგმა გაიწერება 2022-2023 წლებზე, ხოლო შემდეგი - 2024-2025 წლებზე.

სტრატეგია განხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის დაფინანსებით, ასევე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ტრანსფერებითა და დონორი ორგანიზაციების დახმარებით.

სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით დამტკიცებული სტრატეგია, სამოქმედო გეგმები და შესრულების ანგარიშები ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე [www.kazbegi.gov.ge](http://www.kazbegi.gov.ge).

### მონიტორინგი

სტრატეგიაში წარმოდგენილი ამოცანების შედეგების მიღწევისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების პროგრესის დადგენის მიზნით განხორციელდება სამოქმედო გეგმის რეგულარული მონიტორინგი. მონიტორინგს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირი. რომელიც ყოველ კვარტალურად წარუდგენს ანგარიშს მერსა და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. ასევე, ამზადებს და მერსა და მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარუდგენს სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიურ ანგარიშს.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოზე განხილვის შემდეგ წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე [www.kazbegi.gov.ge](http://www.kazbegi.gov.ge).

### შეფასება

სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების შედეგების შესასწავლად, ასევე სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებების განვითარებაზე გავლენის დადგენისა და განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების გამოვლენის მიზნით მოხდება სტრატეგიის შეფასება.

სტრატეგიის შეფასება განხორციელდება პოლიტიკის ციკლის დასრულების ბოლო ეტაპზე, მაგრამ არაუგვიანეს 2025 წლის პირველი ნახევრისა.

სტრატეგიის შეფასება მოხდება მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ. საბჭომ სტრატეგიის შეფასება შეიძლება მოახდინოს საკუთარი რესურსებით ან მოიწვიოს გარე ექსპერტი/ექსპერტები.

სტრატეგიის შეფასების შედეგად მზადდება ანგარიში, რომელიც წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

სტრატეგიის შეფასების ანგარიში ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე [www.kazbegi.gov.ge](http://www.kazbegi.gov.ge).